საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 540/ს
26/12/2022

540-21-4-202212261702

შპს „ჰერიოს“ აფალტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2022 წლის 14 დეკემბერს სააგენტოს მომართა შპს „ჰერიოს“ დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2008 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შპს „დ და გ ტექნოლოგის“ ასფალტის წარმოებაზე (ქ. თბილისი, ჭირნახულის ქ. №4-6) გაიცა №25 (27.05.2008) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2010 წელს კომპანიების ერთობლივი მომართვის საფუძველზე აღნიშნული ნებართვა გადაეცა შპს „არ-დი-აის“. 2012 წელს ზემოაღნიშნული ნებართვა შპს „არ-დი-აისგან“ გადაეცა შპს „ჰერიოს“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებული იყო 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოეთხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას. ამავე კოდექსის 48-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, პირი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი პროცედურის შესაბამისად მიმართოს სააგენტოს და მიიღოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2008 წლის №25 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ჰერიოს“ ასფალტის წარმოებაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №25; 27.05.2008);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჰერიოს“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჰერიოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო